

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia)

სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი №51

ქ. თბილისი

2019 წლის 25 ივნისი

განსახილველი საკითხები:

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა განიხილეს შემდეგი საკითხები:

1. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნება და აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებისთვის საჭირო ყველა ქმედების განხორციელებაზე უფლებამოსილების მინიჭება. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წესდების პროექტი (დანართი 1ბ) და ინფორმაცია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ (დანართი 1ა).

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. ა) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს (MCA-Georgia) დებულების დამტკიცებისა და სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 აპრილის N137 დადგენილებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თანხმობა მიეცეს სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს (MCA-Georgia) დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;

ბ) თანხმობა მიეცეს სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს (MCA-Georgia) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის აღმასრულებელ დირექტორად დანიშნოს სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს (MCA-Georgia) აღმასრულებელი დირექტორი მაგდა მალრაძე;

გ) თანხმობა მიეცეს სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს (MCA-Georgia) აღმასრულებელ დირექტორს მაგდა მალრაძეს განახორციელოს ყველა საჭირო ქმედება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნების მიზნით;

დ) მოწონებულ იქნას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წესდების პროექტი (დანართი 1ბ);

ე) მოწონებულ იქნას ინფორმაცია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ (დანართი 1ა).

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia)
სამეთვალყურეო საბჭოს წევრები გადაწყვეტილებებს ადასტურებენ ხელმოწერით:

მამუკა ბახტაძე

საქართველოს პრემიერ-მინისტრი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

მიხეილ ბატიაშვილი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის მინისტრი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე




ივანე მაჭავარიანი

საქართველოს ფინანსთა მინისტრი




თეა წულუკიანი

საქართველოს იუსტიციის მინისტრი



დავით ზალკალიანი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი



ნინო ჩინჩალაძე

საერთაშორისო განათლების ცენტრის

დირექტორი

